ერთობლივი სარგებლობის შესახებ შეთანხმება

9 ივლისი, 2026 წ.

ერთის მხრივ, **შპს „გოლდენ ბლუ 1“ (ს/კ** 405599570) წარმოდგენილი დირექტორის _____ სახით (შემდგომში – „მესაკუთრე“),

და მეორეს მხრივ:

შპს „გოლდენ ბლუ 2“ (ს/კ 416374943)

შპს „გოლდენ ბლუ 3“ (ს/კ 406405046)

შპს „გოლდენ ბლუ 4“ (ს/კ 405599696)

წარმოდგენილი მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ (შემდგომში ერთობლივად – „მოსარგებლეები“),

ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

1.1. შპს „გოლდენ ბლუ 1“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია სამელიორაციოს სისტემისა და წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა.

1.2. აღნიშნული სისტემა და წყლის რეზერვუარი გამოყენებული იქნება როგორც შპს „გოლდენ ბლუ 1“-ის, ასევე შპს „გოლდენ ბლუ 2“-ის, შპს „გოლდენ ბლუ 3“-ისა და შპს „გოლდენ ბლუ 4“-ის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით.

1.3. ამ შეთანხმების საფუძველზე მოსარგებლეებს უფლება ექნებათ ისარგებლონ:

შპს „გოლდენ ბლუ 1“-ის წყალაღების წერტილით მდინარე გუბისწყალზე;

შპს „გოლდენ ბლუ 1“-ის კუთვნილი მაგისტრალური მილსადენით, რომელიც დააკავშირებს წყალაღების წერტილს წყალშემკრებ რეზერვუართან;

წყალშემკრები რეზერვუარით, მისი დანიშნულების შესაბამისად.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ინფრასტრუქტურა გამოყენებული იქნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და სარწყავი წყლის მიწოდების მიზნით.

2.2. მოსარგებლეები ვალდებულნი არიან:

გამოიყენონ ინფრასტრუქტურა მისი დანიშნულების შესაბამისად;

არ დააზიანონ წყალაღების წერტილი, მაგისტრალური მილი ან რეზერვუარი;

დაუყოვნებლივ აცნობონ შპს „გოლდენ ბლუ 1“-ს ნებისმიერი დაზიანების ან ტექნიკური გაუმართაობის შესახებ.

2.3. მხარეები ითანამშრომლებენ ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებებს მისი ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის საკითხებზე.

მუხლი 3. ინფრასტრუქტურის გამოყენების პირობები

3.1. წყალაღების წერტილის, მაგისტრალური მილსადენისა და რეზერვუარის გამოყენება განხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

3.2. თითოეული მხარე ვალდებულია გამოიყენოს წყალი გონივრულად ისე, რომ არ შეიზღუდოს სხვა მხარეების კანონიერად განსაზღვრული სარგებლობის უფლება.

მუხლი 4. შეთანხმების მოქმედების ვადა

4.1. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, თუ მხარეები წერილობით სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

4.2. შეთანხმებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით, ყველა მხარის ხელმოწერის შემთხვევაში.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. მხარეები ადასტურებენ, რომ აღნიშნული შეთანხმება გამოხატავს მათ თავისუფალ ნებას და ხელმოწერილია ყოველგვარი იძულების გარეშე.

5.2. შეთანხმებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება პირველ რიგში ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა ხელმოწერები

შპს „გოლდენ ბლუ 1“ ს/კ:

დირექტორი: 405599570 ხელმოწერა: _____

შპს „გოლდენ ბლუ 2“ ს/კ:

დირექტორი: 416374943 ხელმოწერა: _____

შპს „გოლდენ ბლუ 3“ ს/კ:

დირექტორი: 406409046 ხელმოწერა: _____

შპს „გოლდენ ბლუ 4“ ს/კ:

დირექტორი: 405599696 ხელმოწერა: _____

თარიღი:

9/07/2026